ბაუვეგი

206267412

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს "ბაუვეგი"ს 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს "ბაუვეგი" რეგისტრირებულია "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად 2006 წლის 17 დეკემბერს.

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქუჩა №15 ბინა №23.

საიდენტიფიკაციო კოდი 206267412.

შპს-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა .

შპს „ბაუვეგი"ს დამფუძნებელია დავით წიქარიშვილი (პ/ნ 01001010794) კაპიტალის 100 % წილის მფლობელი და დირექტორი კომპანიის დაფუძნების დღიდან .

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები .

1. <u>ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები</u>

1.1 წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს , 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „ საქართველოს კანონის შესაბამისად, რასაც წინ უძღვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხელმძღვანელობისთვის ყოველი მომდევნო საანგარიშო წლის 1 მაისამდე, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის საანგარიშო წლის დასრულებისთანავე, თუმცა არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა.

შპს „ბაუვეგი“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ,ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ განსაზღვრული საწარმოთა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით 2019 წლის ჩათვლით მიეკუთვნებოდა მე-4 კატეგორიის საწარმოს ,2020 წლიდან კი აკმაყოფილებს მესამე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმებს .

1.2 ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში, 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. აქვეა თავმოყრილი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წადგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

1.3 ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში.

მონაცემები ასახულია ერთეულ ლარში, არასრული ლარები (თეთრი) დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე ,საზოგადოდ მიღებული წესის შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს ,მის პრინციპებს და სტანდარტებს.

2.2 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება და აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით, მათი თვითღირებულებით და ამ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

2.3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ქართული ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 31.12.2019	2,8677	4,0233
კურსი 31.12.2020	3,2095	3,2766

2.4 ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა “ორისის” გამოყენებით.

2.5 სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

3.ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

3.1 შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ანუ პირვანდელი ღირებულებით.

3.2 ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, პირვანდელი ღირებულებიდან ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით

3.3 ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის პროპორციულად , თითოეული დასახელების მიხედვით.

3.4 მცირე ღირებულების (არაარსებითი) შეძენილი აქტივები მიჩნეულია მცირეფასიან საგნებად და აღირიცხება მარაგის სახით.

3.5 ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში ერთხელ.

3.6 კომპანიას აქვს მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად სასაწყობე ფართის აშენება და ამ გზით იჯარის ხარჯის შემცირება .

4.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

4.1 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში, აიღება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით. შპს „ბაუვეგი“ს სმფ-ის შემოსვლა ძირითადად არის იმპორტირებული საქონელი ,შესაბამისად მისი თვითღირებულება განისაზღვრება მომწოდებლის მიერ მოწოდებული ინვოისის , ინკოტერმსის პირობების და ამ საქონლის კომპანიის საკუთრებაში საბოლოოდ გადმოსვლასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით.

4.2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალიზაციისას თვითღირებულება საბუღალტრო პროგრამაში განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

4.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

4.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველ ექვს თვეში .

5.მოთხოვნების აღრიცხვა

5.1 მოთხოვნები მიწოდებიდან, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით, ანუ საეჭვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით.

5.2 სავაჭრო მოთხოვნები შედგება გაყიდული საქონლის გადაუხდელი ღირებულებისაგან ,რომელიც კომპანიამ დარიცხვის მეთოდის მეშვეობით აღიარა შემოსავლად, ასახა საბუღალტრო ჩანაწერებში, თუმცა თანხა ჯერ არ მიუღია.

5.3 მოთხოვნების ნუსხაშია გადახდილი ავანსები,რომელიც ძირითადად წარმოადგენს საქონლის მომწოდებლებისათვის გადახდილ უცხოურ ვალუტის ექვივალენტ, ქართულ ეროვნულ ვალუტას და ანგარიშგებაში ასახულია ,გადარიცხვის დღისთვის არსებული უცხოური ვალუტის ქართულ ეროვნულ ვალუტასთან მიმართების კურსით.

5.4 ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად ,ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება ,რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აისახება მოგება ზარალში.

6 .ამონაგების აღიარება

6.1 კომპანიის ძირითად საქმიანობას ,წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა საშემდუღებლო აპარატებით,შედუღების მავთულებით და ელექტროდებით,პლაზმური ჭრის აპარატებით და მისი აქსესუარებით, მეტალის საჭრელი და სახეხი დისკოებით. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით საქონლის რეალიზაციის საფუძველზე.

7. ხარჯების აღიარება

7.1 ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით .ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

8. საგადასახადო ვალდებულება

8.1 საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს გაწეული ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისად. შპს“ ბაუვეგი „ დღგ-ს გადამხდელია დაფუძნების დღიდან, შესაბამისად ეკონომიკურ საქმიანაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გადასახდელ დღგ-ს, კომპანია იხდის დარიცხვის შესაბამისად. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ,დამფუძნებელზე დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე .

9. სავაჭრო ვალდებულება

9.1 აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებას , კალენდარული წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ფულად ერთეულში (ლარი), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით

წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

10.დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

10.1 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო -შრომის ანაზღაურება ,ხელფასები ,ანაზღაურებადი შვებულებები ,ბიულეტენები ,პრემიები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული .

10.2 შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომის კანონთა კოდექსის და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად.

10.3 შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი -30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

11. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

11.1 საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული:1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	01.01.2019	01.01.2020	01.01.2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები სულ	**696642**	**828587**	**742991**
ფულადი სახსრები	1369	4318	23466,79
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	82374	39375	29583,46
ავანსები და წინასწარ გახდილი თანხები	38946	215985.94	135970,66
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	588.06	1202,26
სასაქონლო მატერიალური მარაგები	555764	546665	540641,30
წინასწარ გადახდილი გადასახადები	18189	21654	12126,38
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
გრძელვადიანი აქტივები ,სულ	**287769**	**344667**	**324138,13**
ძირითადი საშუალებები	279656	336733	315616,78
არამატერიალური აქტივები	8113	7934	8521,35
სულ აქტივები :	**984411**	**1173254**	**1067128,98**
ვალდებულებები და კაპიტალი:			
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	**298239**	**440785.78**	**326181,38**
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	291627	215503,33	216719,84
მოკლევადიანი სესხები	0	2283	15930,32
საგადასახადო ვალდებულებები	2135	5193	3916,48
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4477	217806,71	89614,74
გრძელვადიანი სესხები	325044	482663,56	601704,10
ვალდებულებები ,სულ:	**623283**	**923449**	**927885,48**
სულ კაპიტალი :	361128	249805	139243,5
საწესდებო კაპიტალი	200	200	200,00
დაგროვილი მოგება/დაუფარავი ზარალი	360928	249605	139043,50
სულ ვალდებულებები და კაპიტალი :	984411	1173254	1067128,98

დირექტორი : დავით წიქარიშვილი

David Tsikarishvili

Подписано цифровой подписью: David Tsikarishvili
Дата: 2021.09.29 15:28:55 +04'00'

მთ.ბუღალტერი : ლალი ბუცხრიკიძე

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემრის მდგომარეობით

	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	1165157	1149245
საქონლის გაყიდვიდან	1165157	1149245
გაყიდვების თვითღირებულება	-748105	-766582
საერთო მოგება	417052	382663
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3783	12266
დასაქმებულთა ანაზღაურება	-256454	-293200
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-26129	-23422
საპროცენტო ხარჯი	-44788	-34779
იჯარის ხარჯი	-14595	-37439
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-51698	-51543
სულ საოპერაციო ხარჯები	-389881	-428117
საოპერაციო მოგება	27171	-45454
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-104563	-39070
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2468	-332
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-74924	-84856
მოგების გადასახადის ხარჯი	-5348	-3730
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-80272	-88586
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-80272	-88586
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	249805	361128
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-30290	-22737
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	139243	249805

დირექტორი : დავით წიქარიშვილი

David Tsikarishvili

Подписано цифровой подписью: David Tsikarishvili
Дата: 2021.09.29 15:29:27 +04'00'

მთ.ბუღალტერი : ლალი ბუცხრიკიძე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1.

ფული და ფულის ექვივალენტები		
	2019	2020
ნაღდი ფული სალაროში	149,33	1,66
ეროვნული ვალუტა ბანკში	0	0
უცხოური ვალუტა ბანკში	4168,99	23465,13
სულ	4318,32	23466,79

2.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2019	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	39375,38	29583,46
გადახდილი ავანსები	215985,94	135970,66
სხვა მოკლევადინი მოთხოვნები	588.06	1202,26
წინასწარ გადახდილი გადასახადები	21654,6	12126,38
სულ	277603,98	178882.76

3.

სასაქონლო მატერიალური მარაგები	2019	2020
გასაყიდად გამიზნული სმფ	546388,7	540393,5
საწვავი	275,77	247,84
სულ	546664,5	540641,3

დირექტორი : დავით წიქარიშვილი

David Tsikarishvili

Подписано цифровой подписью: David Tsikarishvili
Дата: 2021.09.29 15:30:09 +04'00'

მთ.ბუღალტერი : ლალი ბუცხრიკიძე

4.

სესხები	2019	2020
მოკლევადიანი საბანკო სესხი	2283	15930,32
გრძელვადიანი საბანკო სესხი	482663,56	601704,1
სულ	484946,56	617634,42

5.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2019	2020
სავაჭრო ვალდებულებები	215503,33	216719,84
მიღებული ავანსები	217806,71	89614,74
გადასახდელი გადასახადები	5193,00	3916,48
სულ	438503,04	310251,06

6.

ამონაგები	2019	2020
საქონლის გაყიდვიდან	1149245,43	1165157,14
სულ	1149245,43	1165157,14

დირექტორი : დავით წიქარიშვილი

David Tsikarishvili

Подписано цифровой подписью: David Tsikarishvili
Дата: 2021.09.29 15:30:46 +04'00'

მთ.ბუღალტერი : ლალი ბუცხრიკიძე

7.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2019	2020
შრომის ანაზღაურება	293200,35	256454
მიწოდების ხარჯი	295,5	3,48
იჯარის ხარჯი	7172,59	37438,62
საკონსულტაციო ხარჯი	359	1543,15
ცვეთის ხარჯი	14956,62	23422,29
საოფისე ხარჯი	2969,77	1254,64
დაზღვევის ხარჯი	5413,07	7594,86
სხვა საერთო ხარჯი	61410,2	41145,98
სულ	385777,1	368857.02

დირექტორი : დავით წიქარიშვილი

David Tsikarishvili

Подписано цифровой подписью: David Tsikarishvili
Дата: 2021.09.29 15:31:23 +04'00'

მთ.ბუღალტერი : ლალი ბუცხრიკიძე

8.

ძირითადი საშუალებები						
დასახელება	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	სატრანს საშუალებები	არამატერ აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31. 12.2018	0,00	200197,07	59810,85	8113,41	19647,17	287768,50
შემოსვლა	60724,54	0,00	0,00	0,00	19596,14	80320,68
პერიოდის ცვეთა	0,00	-7689,75	-8666,93	-179,34	-6886,27	-23422,29
31.12. 2019	60724,54	192507,32	51143,92	7934,07	32357,04	344666,89
შემოსვლა	0,00	0,00	0,00	587,28	5012,87	5600,15
პერიოდის ცვეთა	0,00	-7689,70	-9141,70	0,00	-9297,51	-26128,91
31.12. 2020	60724,54	184817,62	42002,22	8521,35	28072,40	324138,13
31.12.2018	0,00	200197,07	59810,85	8113,41	19647,17	287768,50
31.12.2019	60724,54	192507,32	51143,92	7934,07	32357,04	344666,89
31.12.2020	60724,54	184817,62	42002,22	8521,35	28072,40	324138,13

შპს “ბაუვეგი”-ს დირექტორი: /დავით წიქარიშვილი/

David Tsikarishvili

Подписано цифровой подписью: David Tsikarishvili
Дата: 2021.09.29 15:32:19 +04'00'

მთავარი ბუღალტერი : / ლალი ბუცხრიკიძე /